შეექნა შვათი ყოელ-კერძო, ჰქმენ ქართველთ აღრეულობა. განჰსქდენ, თვის თვისად იზმის, ურთერთის ხორც შექმულობა. ლიხთა კახრანთა სასტიკად შეუდევს განზარეულობა, ჰკელიდა მზა მზასა, არ იყო მათ შორის სიყვარულობა. მაშინ დავით კურატპალატს ჰსთხოვს ქართველთ ქენვა, აჯით:

გვიშვილო, შვირეულეართ გონებით და ქცევა ქაჯით; სისხლი ჩენნი თვით ჩენგანევე უხვად გვლიან, ვით სარაჯით, გვიპატრონე, გვაჯგებთ ტირილით და პირთა ბლავით.

ოქვენ არ ინებებთ მეფობას, აოხრდეს ქართლი ყოველი. ეტლი გვიბრუნებას უწყალოდ, ცა რისხვით ჩენზედ მითაველი.

გემუდარებით, შეგბრალდეთ ესეოდენი მთხოველი, თუ ესრეთ განელოს ქამებმან, არლა სად დაერჩეთ ცხოველი.

შენ გაქვს დავითის ტომობა, ვახტანგ დილისა გვარობა, სოლომონ ბრძნისა მეფისა სწავლითა არა მდარობა,

იცი ხეწათ საქმეთ გამოხსნა, ძნელოვანთ ჰაზრთ მიმხედარობა, არას გვეწვევი, მივიღოთ ერთობით მწაჩე მვედარობა. დავითს რა ესმა ქართველთა სასტიკის კირით ურვანი, შეილმო მათთვის გულითა, ჰყო მსწრაულად კეთილ ზრუნვანი,

შეჰკრიბნა სპანი ყოველნი, ჰქმნას იალიგებრ ბრუნვანი, განაშნო ტაო-კლარჯელნი, არ ჰქონდათ მტერთგან ძრწუნვანი.

ჰბრძანა, არ მნებავს მეფობა, იცის თვით ესე შენამან; გარნა მებრალვის ქართველნი, მომიცეა მათმან წყენაჲან. აღავსო სრულად მინდარნი ურთერთის სისხლთა დენამან, მზავს და განვაგლო კეთილად, ვერ აენოს მტერთა კბენაჲან.

მოიყვანა ბაგრატ მცირე, თვისგან შეილაღ ტუ-ბილაღ ზრდილი, მოუღენია ვარე მზრდელი მართ სიბრძნითა ზესთა ქმნილი; ჰრქეა, ყრმა ესე მცირე ბაგრატ ჩემგან არსო შორ-მით ზრდილი, ერთგულად ჰსცე, არ მოგაკლდეს მფარველობის ჩემსა ჩრდილი.

გამეფება ქართველთა ზედა ბაგრატ და ვითაჲ სოღა-მონაინასა ბაგრატისაჲ ძის ძისა.

აშხედრდენ, ყრმიითა ბაგრატით ვარდმოველს მითა გზანია, ქართლად მოვიდნენ, მხად დახედნენ ერთგულნი მისნი ყმანია.

ბაგრატ აყურთხეს მეფედ და შეიქმნა მილოკუანია, იტყოდენ მრავალ ქამიერ თქვენის მეფობის სლევანია. დამონნა დავით ბაგრატს, ვინცა იყენენ შორად მდგომნი,

ერთგულ ქმნილნი განამდიდრნა, მეფობისა კეთილ მდომნი.

შური ავო ყოველთავე, თუ სად იყენენ შემომწყრომნი; სპა განაწყუო მათთვის დავით, მოინდომნა ვინცა ოპნი; რა მოიწიუა ბაგრატ ყრმა ხმარებად მშვილდ-მანგელისა,





ანუგეშებდა ყოველთა, ვითა ნიავი დილისა.  
მტერთ არ ძალედღეათ პირის პირ მოცდა მის მშვილდ  
ზოწვილილისა,  
ზეეს მოსთხოვლიან ყოველნი, ფარვა აქვსთ მისის  
ჩრდილისა.

ბაგრატ ყოველი ნაქონები მის პირველის გუზამისა  
ღიბურა ყოველი სამეფო წინანდელისა ვამისა,  
გვისარს მოყვად განწყუა, ჰუა საქმე შესაბამისა,  
სპარსთ მეფეს ექმნა მეგობრად, არა შემთხვევად  
ვამისა.

აფხაზეთისა და ქართლის მეფობა შეეერთა მან.  
აქებდა ერთი, შეიტკობო გულმან ყრმათა და ბერთამან.  
მიიღეს მზიარულება სულთ ერთგულთ მოყვარეთამან,  
რისხეი იფინა ქვეყანამ ყოველმან მისთა მტერთამან,  
ზანადიდა ესრეთ ბაგრატ ლეთისა შიშით სიყვარულმან,  
რულმან,

ვერა ანო იყრა საღა მზაკვარულმან შეთქმა მტრულმან,  
მოვლო თვისი საბრძანისი, მოხარულ ჰყო მზიარულმან,  
რულმან,  
მეფობისა მტერნი მოსრნა, ბასრ-მანვილიმან ვამან-  
ხულმან.

მრავალნო წელნი მეფობის დიდებთა განატარა მან,  
ექვლესიათა შექმნა აროდეს დანიზარა მან,  
ხორცილთა ესრეთ განდიდნა, სულთა შეიყვარა მან,  
დასტრეუა მბრძოლი ბოროტი, ეშმაბილწ შეამცდარა მან.

მის ღროსა დავით მამასა ხალოდა მეფეთ მეფობით,  
თვისს თაესა მრწემად, და მისი იყო მხსენები სეფობით,  
ორნივე გვირგვინოანი სცხოვრებდენ მოიფობით,  
საღა დასქარდისთ ლაშქართა იყენენ ურაცხვად მკრფობით.

რა განვლო თვისნი ღრონიდა დავითმან ყოველად  
მშვილობით,  
ბაგრატ იტყებდა ვეპით, მიიღო გლოვა დიდობით.  
გლახათა მისცა საუნჯით, იყენენ ოქროსა მზობით,  
ვერცხლნი განუყენა მონასტერთ, საღ იყენენ კიდის-  
კიდობით.

მარტოდ დაშთა, სამეფოთა უყეთილესს განაგებდა,  
ერთგულ ქმნილნი აღამაღლნა, ორგულთ სამხლენით  
განაძებდა,  
მონად უღდენენ ლეკ-კავკასნი, რასაცა ვით უბრძანებდა,  
აღან-აზაზ-ალავეზით მისა მხასა მორჩილებდა.

შეგზღვა—კასპით—რის—არგეს სახლობნი ჰსურით  
ჰყოზბდიან,  
ხაზართა დიდსა მდინარეს მყოფნი მისს ყმობას ხაზობდიან,  
სპარსთა ხელმწიფე ეყისრით დიდ ძალსა ნიქან სქანობდიან,

თვისნი ყოველნი სურვილთა, ვით მამას შეეჭრულა დანა.  
მე იყო ზეგარდამო მრავალ გეარად ნიჭეულად,  
სულისადმი ტრფივალება გულსა აქენდა შეკრებულად,  
ისურვალად ბერობასა, ყმათა არ ჰსცეს ნება სრულად,  
მეფე იყო ლეთსა სათნო ეშმაკნი ჰყენა განბასრულად.  
ზანადრცნა ქართლის კიდენი, მეშზღერენი მისცა  
კირებსა,

ავებდა ეკლესიათა მთათა და ბართა ხმარებასა,  
მღვდელთა სწყალობდა მრავალსა, ოქროს აძლევდა  
მწირებსა,  
სწორად უსჯიდა სამართალს დიდ-შემძლეთ-გლახაკ-მცირებსა.

პრის ძალედვა მძლავრება უსამართლობით ძალები,  
მთათა და ველთა სიმტკიცით მისცა სწორ სამართალები,  
თუ ვინ საღ ჰმძლავრის ერთი ერთს, შეუღღის რისხვა  
მადლები,  
სრულ უჩინო ჰყენა ქურდობა და მეკობრეთა კვალები.

**შედაგოგური მენიშენები საერო და სამრევლო სკოლების მასწავლებლებთან საუურადღებოდ.**

ლექსები, როგორც ერთი საშუალებათაგანი დედა-ენის შესასწავლად პირველ დასწავის სკოლებში.

(გაგრძელება \*).

ყველა ლექსები, რომლის შესწავლაც შესაძლებელია პირველ დასწავის სკოლებში, შეიძლება გაიყოს სამს ჯგუფად: პირველ ჯგუფს შეადგენენ იმისთანა ლექსები, რომლის შინაარსსაც შეადგენს ბუნების მხატვრობითი აღწერილობა, ბუნების მოვლენათა და მისი გარეგანი სახის გამოხატულობა. მეორე ჯგუფს

\* იხ. «მწვეთი» № 13 1895 წ.





შეადგინენ ის ლექსები, რომელიც შეადგენს პოეტურს ნაწარმოებს, აღებულს უბრალო ხალხის ცხოვრებიდან, სადაც გამოხატულია ხალხის მეცადინეობა, მისი სიმბიარული და სიმწუხარე. მესამე ჯგუფის ლექსებს უნდა შეადგინდნ ისეთი ლექსები, რომლის შინაარსაც შეადგენენ — წარსული დროის შესანიშნავი შემთხვევანი და ისტორიული პირები. ამ ნაწარმ თითოეულს ჯგუფს ლექსებისას აქვს თავიანთი მიზანი, დანიშნულება; მაგალითად, პირველი რიგის ლექსებმა უნდა აღძვას და განავითაროს მოწაფეების გულში სიყვარული მშობლიური ბუნებისადმი და განავითაროს მათი ესტეტიკური გრძობა. მეორე ჯგუფის ლექსებმა უნდა აღზარდოს ბავშვის გულში სიყვარული, გულში მიწოდება და დაწაფვა შრომისადმი, სოფლის ცხოვრებისა და გლეხის ყოფა-ცხოვრებისადმი. დასასრულ მესამე რიგის ლექსებმა უნდა აღძვრან და განავითარონ მოწაფეებში პატრიოტული გრძობები და ეროვნული თვით შეგნებულობა.

რაცა შეეხება არაკების სწავლებას — უფრო სასარგებლო იქნება ისწავლებოდეს იმისთანა არაკები, რომლებიც განირჩევიან მახვილი სიტყვებით, უბრალოებით და აქვთ დამოკიდებულება უბრალო ხალხის ყოფა-ცხოვრებისადმი და რომლებიც იპყრობენ თავიანთ შორის ღრმა ზნეობრივ სწავლას, აზრს. ამისთანა არაკებს შეუძლიან ძლიერად იმოქმედონ მოწაფეებზე და განავითარონ მათი ზნეობრივი მხარე. რასაკვირველია, ლექსები და არაკები უნდა იყოს დალაგებული რიგზედ, სისტემით და ერთი მეორის თან მიყოლით, როგორც ენის, აგრეთვე შინაარსის მხრითაც, რომ დაკმაყოფილონ დიდაქტიკის უსაქიროსი მოთხოვნილებანი.

სამწუხაროდ, ჩვენებური სკოლები, მიუხედავად აუცილებლის საჭიროებისა, ამ ნაირ ლექსთა კრებულს ვერ-გვტორობთ მოკლებულია; ამიტომ მოწაფეები და მასწავლებლებიც იძულებულნი არიან დაკმაყოფილდნენ იმ ლექსებით, რომელიც მოთავსებულია საკითხავ წიგნში, ეს ნაკლებ არ დაეტოვებია უყურადღებოდ ჩვენს პატრიოტულს პედაგოგს, პედაგოგიურ მწერლობაში მოღვაწეს ბნ ი. გოგებაშვილს; მაგრამ მის მიერ გამოკრეული ხომჯი, ანუ ლექსთა კრება მოზრდილი ყმაწვილებსათვის, უფრო შიშველს მართა მესამე ჯგუფს ლექსთა კრებისას და ამიტომ ვერ აკმაყოფილებს ყველა შემოდ ჩამოთვლილს მოთხოვნილებას.

ლექსებიც, როგორც პროზული სტატიები, უნდა ისწავლებოდეს განმარტებითი კითხვის გაცეითილებზედ. იქ, სადაც გაცეითილების მიცემა სახლში დასასწავლად წესად არის შემოდებული, დროს შემქონლობისა გამო, შეიძლება, უფროსი განყოფილების მოწაფეებს მიეცეს სახლში ზეპირად დასასწავლად კლასში წაკითხული, განმარტებული და აღსნილი ლექსები. ბავშვის ძალიან უყვარსთ ლექსები და რადგანაც მესხიერებაც ხელს უწყობს, ადვილად და ხალისიანადც სწავლობენ; მხოლოდ აუცილებლად საჭიროა, რომ მიექცეს გეროვანი ყურადღება კლასში წინაწინ ლექსების აღსნას და განმარტებას; შედგენ ამ ნაირი განმარტებია იმაში ნაბი სიტყვების მნიშვნელობა. მათი კანონიერად ხმარება, განსაკუთრებული ფორმების — მეტაფორის, ტროპების და შედარებათა მნიშვნელობა და მათი კანონიერად გამოთქმა, ხმარება. მოწაფეებს უნდა ჰქონდესთ შეგნებული, როგორც თვითველი წინადადების აზრი, აგრეთვე მათ შორის კემპირიც, და უმთავრესად შეგნებული უნდა ჰქონდესთ მთელის საჭირო განმარტება და აღსნა უნდა იყოს მოკლე და ადვილად გასაგები ბავშვისათვის.

ლექსების განმარტებითი წაკითხვა და შესწავლა შეიძლება მოხდეს აწნარად: ა) პირველად, რომელიმე დასასწავლ ლექსს წაუკითხავს კლასს მასწავლებელი თვითონ ხელოვნურად იმ მიზნით, რომ უჩვენოს მოწაფეებს მაგალითი კარგის წაკითხვისა და გაეცნოს ისინი ლექსის შინაარსს. ბ) წაკითხავს ლექსს რომელიმე მოწაფე, უფრო საუკეთესოთაგანი ნაწილ-ნაწილად ან მთლად, თუ ლექსი დიდ არ არის, თითო ნაწილს კითხულობს თითო მოწაფე. ამ დროს ხდება განმარტება, ანუ ახსნა წაკითხულის ნაწილისა, სიტყვების და აზრის განმარტება; ასე წაკითხვანა ბოლომდის, ბოლოს ერთი საუკეთესო მოწაფეთაგანი წაკითხავს თვითღვან; ამის შემდეგ გ) მოწაფეები გიდასცემენ



მასწავლებელს წაკითხული ლექსის შინაარსს თავის სიტყვებით, მასწავლებლს დაუხმარებლად, ან კითხვების შემწეობით; დ) თეთრან მასწავლებელი წიკითხვის ლექსს ხელახლად თავიდან ბოლომდე იმ მიზნით, რომ მეორეჯერ უჩვენოს მაგალითი მკაფიო და ნათლად გამოხატული გამოთქმისა, რომ მოწაფეებმა უფრო ადვილად წარმოადგინონ ლექსის აზრების ერთმანეთს დამოკიდებულება, და შემდეგ წაკითხვინებს საუკეთესო მოწაფეებს; ე) წარმოთქმა მთელის ლექსის შინაარსისა კითხვების შემწეობით, გამორკვევა ლექსის დედა აზრისა, ზნეობრივი სწავლისა და დასახელება მოწაფეთა მიერ საჭირო მაგალითისა ცხობრივი და. დასასრულს, მასწავლებელი ავარჯიშებს მოწაფეებს ხელაუნუს კითხვაში, შეაჩერებს მოწაფეებს იმ ადგილზედ, სადაც შეცდებიან, ან სადაც საჭიროა განსაკუთრებით გამოთქმა. ამიტომ მასწავლებელი ძნელ ადვილს ან თეთრან წიკითხვას და ან რომელიმე კარგს მოწაფეს წაკითხვას, და ყველასგან მოითხოვს ამ ნაირად წაკითხვას. შინაარსის დაწვრილად გადმოცემა საჭიროა მხოლოდ არაკვების კითხვის დროს; სხვა ლექსების წაკითხვის დროს, განსაკუთრებით თუ ლექსი სალირიკო შინაარსისა—ამ დროს თავის სიტყვებით მისი გადმოცემა შედევთია, ამ დროს იკარგება ლექსის ხელოვნებითი სრლმანზე, ერის სიფაქიზე, სიმშენიერე. უმისოდ ლექსს არ შეუძლიან იპოქედოს ძლიერ შთანბვლილებითავე შევების გრძნობაზედ, წარბოდენილობაზედ, და ამიტომ შეიძლება დაკარგოს თავისი მნიშვნელობა. სალირიკო პოეზიას ყველანზე უფრო მსგავსება აქვს მუსიკასთან. მაისი შინაარსა აგრეთვე არ გადითანება უბრალო მოთხრობათ და არ გადაცემა სიტყვებით, როგორც მუსიკალური პიესა. შეიძლება მხოლოდ იმისი გრძნობა, რადგანაც სალირიკო ლექსებში იხატება ყოველივეს თეთრან პოეტების გრძნობა და სხ. ამიტომ თუ აუცოდებელი საჭირო იქმნება ამ გვარი ლექსების შინაარსის გადმოცემა, მასწავლებელმა მოწაფეთა შეძლებისა და გვარად კითხვებზედ უნდა მოითხოვოს სიტყვა სიტყვით შინაარსის გადმოცემა, რაც შეეძება მოწაფეების მიერ ხელოვნურ წაკითხვას ლექსებისას, მას მასწავლებელმა თვითდგანე უნდა მიაქციოს ყურადღება და ეცადოს, რომ მოწაფეები კითხვითადღენ: ზომიერ ხს მალლად, მკაფიოდ, აუჩქარებლად, გარკვევით, შეგნებით, შესაყერ ადვილას ლოლიკურის ხმის ამაღლებით და უნდა ცდილობდეს,

რამდენადც შესაძლებელი იქნება, რომ მოწაფე წაკითხვის დროს ხატავდეს სულიერ მიღწეობებს ხმის გადასვლა-გადმოსვლით, ხმის შეცვლით. გამოცდილებით სჩანს, რომ ბავშვების მიერ ხელოვნურ კითხვის შესწავლაში და საზოგადო ლექსების კარგად წაკითხვის დღი მნიშვნელობა აქვს მასწავლებელს კარგს სამაგალითო კითხვას. იმ მასწავლებელში, სადაც მასწავლებელი ჩინებულად კითხულობს, მოწაფეებიც კარგად და სასიამოვნოდ კითხულობენ. მოწაფეები ყოველ საქმეში თავიანთს მასწავლებელს ჰპაძევენ და ამიტომ კითხვაშიდაც მიზანძივთ ადვილად გადაიღებენ მასწავლებლისაგან ხმის, კილოს სხვადასხვაფერობას, ამიტომ ფრიალ სასარგებლო და საჭიროა, რომ თეთრან მასწავლებლები აქცევენ ყურადღებას ხელოვნურად წაკითხვას. ძალიან სასარგებლო იქნება, რომ ბავშვების ხშირად კითხვობადენ იმისთანა ნაწარმოებს, რომელიც კითხვა-მიგებით არის დაწერილი და სადაც რამდენიმე მომქმედი პირია, განსაკუთრებით არაკვებში. ერთი მოწაფე კითხულობს ერთი მომქმედი პირის სიტყვებს, მეორე—მეორისას, მესამე—აეტორის სიტყვებს და სხვა. ამ ნაირი საკითხავი მასალა ძალიან აცოცხლებს გაცვეთილებს, ახწვევებს მოწაფეებს, უტიფებს მათ კეთილმოუზრნეობას; ამისთანების კითხვა ძალიან მოსწონთ ბევრებს და ამით მოაქვს მათს არსებითი სარგებლობა.

ლექსების სწავლების დროს მასწავლებელმა უნდა მიაქციოს განსაკუთრებით ყურადღება ლექსის დედა აზრის გამორკვევას, ზნეობრივი მნიშვნელობას და დასკვნას; რის შემდეგ უნდა განაღვიძოს ბავშვის გულში მის გრძნობები, რომელიც მოქცეულია ლექსში. წინააღმდეგ შემთხვევაში პოეტურ ნაწარმოების წაკითხვას და ზეპირად დასწავლას არავითარი აღმზრდელიობითი მნიშვნელობა არ ექმნება და აწნარი წაკითხვა ვერც სასურველს სარგებლობას მოიტანს. მისთვის, რომ ლექსებმა მოახდინონ მოწაფეებზედ უფრო ღრმა და ძლიერი შთანბვლილება და განაღვიძოს მათ გულში კეთილი გრძნობები, საჭიროა, რომ თეთრან მასწავლებლები იყენენ განსკველულნი და გამხწვევებულნი ამ ნაირი გრძნობებით. ამის შესახებ ერთი საპატოო პედაგოგი ამბობს შემდეგს: „დასასწავლამ ლექსებმა რომ მოახდინონ მოწაფეებზე აღმზრდელიობათი მოქმედება, ამისთვის თავდაპირველად ექვალზედ უფრო უსაჭიროესია—თეთრან მასწავლებლებმა იყენენ გამსჭვალულნი ადვილდრის სამ-





შეგინებდა და სიამბოდეას განსახებთ, რომ ეს გრძნობა ნათლად სხანდეს, ისევე როგორც მასწავლებელში, როგორც მის მიერ შოკეტურ ნაწარმოების სანაკადითად წყობის დროს, აგრეთვე იმისა ახსნას და განმარტების დროსაც. თქვენ, თუ გინდათ შოკეტური ნაწარმოებით აღმსრულებლობათად ამოქმედდეთ მოწოდებებზე, ეტადეთ თვითონ შეისწავლათ შოკეის ყურადღებით, ეტადეთ აგრძნობთ თქვენმივე კეთილ სურათსა ნათე შოკეისა, შეიყვარეთ იგი, როგორც იდეალური გამოხატულება ტემპერატურის, სინამდვილისა და მისი მოწოდებები თქვენ შეგაყვარებენ, როგორც მასწავლებელს და შოკეისადაც, როგორც სასწავლო საგანს. ციტ. გვ. 536 და 537.

საქონლად მიგვანია მოვიყვანოთ რამდენიმე ადგილი ჯონ გრძნობის თხზულებიდან წიგნების კითხვის სიყვარულის მნიშვნელობაზედ. ეს ნაწყევთ ერთ ნაირად შეეგება, როგორც პოეტურს, ისე პროზაიკულ ნაწარმოებასაც: «მე რომ მიღამობდა მეოხაჟს დეთისთვის ამისთან ნათე, რომელსაც შეძლებდა ჩემი შეტევა ეგება გრძნობათა ცვლილების დროს და ფოთადიოქო მთელს ჩემს სიცოცხლეში ჩემთვის ბედნიერების წინაშე და მიერეკადი ფოთადიგერ შეუდურებასაგან—ან ჩემი საქმეების ცუდით მსჯელობის დროს, ან როცა ხალხი აღსდებდა ჩემზედ—ეს მივრეგის ნათე აქნობდა წიგნების კითხვის სიყვარული». ამ სიტყვებში ძალიან ბევრი არის ნათქვამი. მიეციოთ კაცს სიყვარული წიგნების კითხვისა და საშუალება იმის დასაქყოფილებლად და თქვენ უმეტესად ბედნიერად განდით მას, თუ არ მაწადით ცუდს წიგნებს. წიგნების კითხვით თქვენ შეეყვით მკითხველ ყოველი ისტორიული დროის საუკეთესო საზოგადოებაში; მკითხველებს დაუყვებთ პირ და პირ უფრო ბრძენს, გონებაში ბილს, ძლიერს და პათიოსან პირებს, რომლებიც ერთს ღრობი ამშვენებდენ კაცობრიობას. თქვენ განდით მკითხველს მთელი ეროვნების მოქალაქედ, ყველა საუკუნოების თანამედროეთ. მთელი ქვეყანა ძისთვის შეიქმნება გაჩენილა. ამასთან შეუძლებელია წარმოიდგინოს კაცმა, რომ მკითხველის ხასიათი არ ამაღლდეს და არ გაუშჯობდეს საუკეთესო პირებთან, მუდმივ მოახრეთა დასთან ერთობით; შეუძლებელია წინგობრივად რომ ეგრე შეიძინოს კაცმა განსაკუთრებული აღმსრულებლობაში და განათლებაში, როდესაც თავის თვალ წინ ხედავს ყოველთვის, როგორ ლაპარაკობენ და იტყვიან ერთმანეთში განათლებული

და აღმრდილი ადამიანები. კითხვის ჩვეულებაში, თუ ის კარვად არის წარმართული, არის ჩვეული წიგნითელი კაცობრიობის ხასიათისა და საქციელისა, ეს გველენა იმდენად შეუმწველად მოქმედებს, რომ ჩვენ ხშირად ყურადღებასაც არ ვაქცევთ ხალხში. დასასრულ, წიგნების კითხვის სიყვარული და მისი დაქობა ყოველგვარ ანათლებს კაცის გონებას და არ აძლევს მას ნებას უმეტრებაში და უცილობაში დაჩენისას. ამიტომ ლექსების კანონიერად და შეგნებულად სწავლებას დღი მნიშვნელობა აქვს წიგნების კითხვის სიყვარულის აღძვარებად.

ლ. ბოცაძე.

საისტორიო მასალა.

იოანე ბატონიშვილის წინადადება გიორგი მე-XIII-დამ მონათმეული 1799 წელს.

(გაგრძელება \*).

გვარისა და ტიტლოსათვის და ჯილდოისა.

სამეფოდ მეშვიდე. თავ თავს ტიტლიო ყოველთა უწყინ თავადთაცა და აწნაურთაცა; გარნა მსებლამის დროს, ესე იგი ოდეს რამელმანმე დიდთა კაცთაგანმან, ესე იგი, სარდალმან ორბელიანმან, სარდალმან ამილხვარმან, სარდალმან ქიხიის მოურავმან, მუხრანის ბატონმან, ერისთავთა და მსკავსთა ამათთა, ჩალოყაშვილმან, ცაციშვილმან, აბაშიძემან, ანენოს ეს გუარის სამხახური მეფესა და ქვეყანასა, რომელ დიდ სამახურად შეერაცხებოდეს, და ინებოს მეფემან ჯილდოდ ტატლოაჲს მომატება; მიეცეს, რადგან ბრწყინვალედ იწერებთან თავადნი, ამ მაახურებისათვის აღმატებულ-ტატლიო, ესე იგი, უბრწყინვალესობა მხოლოდ მას გეამსა, ვინემ ცოცხალი იყოს.

უკეთვ ვათავადდება ვინმე სამხახურისათვის, მისცე ტიტლიო იქნება ბრწყინვალეო თავადო.

\*) იხ. „მწყემსი“-ს № 12 1895 წ.





უკეთუ ვაზნაურდება ვინჲ, მისი ტიტლოჲ იქნება კეთლ-შობილებაჲ; და თუ მიაწვეს ხარისხსა სუთასის თაობისასა, მინბაშობასა, მაშინ მიეწერების მალალ კეთილშობილებაჲ; და უკეთუ აღაწვეის სარდლობისადმი ვაზაური, მაშინ მიეწერებინ აღბატე-ბულდებაჲ; და უკეთუ მასხურებს დიდად, მიეწეროს უადმატებულცობაჲ.

უკეთუ საბატო კაცობა ეწოდოს ვისმე, ესე იგი დრაფობა, აღის ტიტლოჲ იყოს განბრწყინვალე-ბული.

ხოლო სხვათა მდაბალთა აზნაურთა—უჯალო. ჯილდოება მიხედვისამებრ იქმნების კვაღურა ხმალი. ხოლო ყმისა და მამულისას არღა ვარჩევ მიღებმასა სამეფოდგან, ვინადგან დია შემციირებულია სამეფო სოფლები. და ასე ინებეთ: ვისიკ ღირსად ნაწოთ ბოძება მამულისა, თუ როდენი კომლიც კაცი გემეტებათ, სახელმწიფო თეთრი ყმისთვის სასყიდლად დანიშნულ იყოს კომლზედა შეიდი თუმანი. და როდენიცა კომლი გენებოსთ საბოძერად, შეიდ შეიდი თუმანი ებოძოს კომლზედან. ხოლო მიწისათვის, ვსთენაც გენებოსთ ცარიელი მიწის ბოძება, სასყიდლად დღიურზედ ებოძოს სამეფო ღებით (?) ხუთი აბაზი. რამდენის დღისაც ებოძოს, ხაზინადარ მან მისცეს მეფის წყალობის წიგნით დღიურზედ ხუთ ხუთი აბაზი, ხოლო ყმაზედ შეიდ შეიდი თუმანი, ვითარცა ზემორე მოვიხსენეთ. და ესე ამას იქით ასე როხდეს.

უკეთუ მეფეთ გვარისა თვადღამ იმასხურა, ესე იგი მეფის ქალის შეიღმან და ქალის შეიღის შეიღმა, დღეს მასხურებისათვის მიეცეს ტიტლოჲ განათლებულცობის თვადღობისა ცხრეთ: განათლებულცობა თვადღო.

**ჯამბეკირისათვის.**

სამოეტად მეტე. ვითარცა აღეწერეთ ზეთ, შემოსავლი თერთად იქმნების ვიღრე ოცდახუთ ათას თუმანადრინ. და დანიშნული იქმნება მეფისა და სამეფოს სახლისათვის გარჩევით მისართმეველი ფული; ხოლო თვადღათა პირველთა მოხელეთა აქენდეს ას ასი თუმანი; ესე იგი სალთხუცესს, ამილახუარს, მეხრანის ბატონს, ქიზიყის მოურავს და ვლჩების უფროსს ვეზირსა. ხოლო სხვათა მოხელეთა მიხედვი-სამებრ პირველთა. ხაზინადარს, ქემიკობაშს, პირველ

მიღენს, პირველს ნაზირს, ამილახერას, ქალაქის მოურავსა და ვახანისას სამოც სამოცი თუმანი. ხოლო სხვათა სარდლად დანიშნულთა, ორმოცდაათათი თუმანი, მინბაშთა ოცდაათათი თუმანი, სუთასის თვეთა და ქემიკობაშის ნაიბს ოც ოც თუმანი, უზნაშთა თორმეტ თორმეტი თუმანი, და მისთა ხელმეფეთთა რვა რვა თუმანი. ხოლო დღებაშთა ხუთ ხუთი თუმანი, საწილადგო ჯარის კაცთა ოროლი თუმანი, პურის გარდა და ტანისამოსის გარდა. სამოქალაქო მოხელეთა ხარისხისა მებრ ოცი თუმანიდამ ექუს ოუ ნამდინა. \*)

მეთიარს მეფისასა და ამ გვართმოხელეთ ოცდახუთ ხუთი თუმანი.

მოდღვარს მეფისასა ორმოცი თუმანი, აგრეთვე აქიშასა.

თაობისაშს აქუნდეს ასი თუმანი და სხვათა მოხელეთა, ვითარცა ზემორე სწერია იმ სახელ. მდაბლთ მოსამახურეთ მეფისას სამი სამი თუმანი და ხორაგე, აგრეთვე ტანისამოსი.

მეფისა კარის მღვდელთა თორთმეტ თორმეტი თუმანი.

მთავარ ღაჯანთ რვა რვა თუმანი. მაგალობელთ ექუს ექუსი თუმანი. მოქანეთ ხუთ ხუთი და ყოველთა მათ ხორაგი. მოსაკრავეთა უფროსს ათი თუმანი და შემდგეთა მათა მიხედვისამებრ.

ხოლო სხუთ თეთრი, რაჲცა დარჩება, იგი უნდა განიყოს ორ წილად, ნახევარი ინახებოდეს სტუმრების ხარჯად და საჩუქრად, და ნახევარი შენობათათვის და ყმის დასახსნელად, და ობლების სახრდელად, ხოლო სხვა თუ მორჩა რამე ესე უნდა გაისენებოდეს, სახითა ამით: იყოს ორი ათასი ანუ სამი ათასი თუმანი გარდაღებული. ხაზინადარს ჰყვანდეს ოთხი კარგი მამულიანი მოქალაქე. იგინი გასასხენდენ, ვისაც უნდოდეს თვადღეს, აზნაურის თუ სხუთა ვისმე, ვითრათი ანუ ნივითთ, რომ რამდენიც თუმანი უნდოდეს, ერთი საზად ღირდეს ანუ მამულისა და ყმის დღგირაგებით. რაედენის ხანითაც უნდოდეს, ბილეთი

\*) გუგრდზე აქვს მინაწერი: ამ თეთრის მოხელეთ უნდა ქქობდეთ საკუთარი გაღაწიანი სახლი და დიდროვანი სეაგრება რკინისა თეთრის შესახასაგად, დაკეტონ და დაბეჭდილნი ხუთისავე კაცითა და ყოველთვის ეკუნონ ფრანგულნი კარგხუჯე; ხოლო ფანჯრები იყოს წკრილი რკინის ფანჯრებით, რომ კაცო გუგრ შექმერებოდეს.





ანუ ბარათი იმ სახელ მიეცემოდეს, და თავის დროს სარგებელი და თავნი მოიტანოს, და დაიხსნას თავისი ნივთი. უკეთეს დრო გავიღეს, ერთი თვე დაიკადონ, და მერე სახალხოდ გაუყდონ ის ნივთი და მამული; ხამფელად რაც თეთრი წაუღია თავის სარგებელით ისევე დაღონ, და სხვა მერე რაც დარჩეს პატრონს მიეცეს. ესეც შეიძლება, რომ წლას თავზედ თუ რაოდენიც პაემანი გასულა, მამულის და ნივთის პატრონთან სარგებელი მიიტანოს და ბარათი ხელ-მეორედ გამაცვლიყენოს.

### ახალი ამბები და შენიშვნები.

«НОВОЕ СМЫСЛ.» — იმ და სხვებზეც საყვედურო განუცხადეს «ივერიას» იმისთვის, რომ ახალ ამბებს ვაზნებშიდამ თუ გადმობეჭდათ თორემ თავისას არას ბეჭდავსო. დაიწყო თავისი ამბების ბეჭედა, მაგრამ ყველა თითქმის ტყუილი გამოდის. მე 168 №-ში აცხადებ: «სინოდმა გადაწყვიტა ამიერიდგან თერამეტი წლას მეტის ყმაწვილებიც მიიღებინ სემენარიის პირველ კლასშია». ეს ამბავი ტყუილია. უქაზი, რომელითაც 18 წლის მეტის მექონე მოსწავლენი არ მიიღონ სემინარიის პირველ კლასში, გამოიკა 1887 წელში. სინოდი აცხადებს ესლა, რომ ამ წლამდის ვინც შესული იყო სასულიერო სასწავლებელში, იმათზე ნუ გაავრცელებთ ამ უქაზის ძალასა და მის შემდეგ შესულებს მოსწავლეთ 18 წლის ხნოვანობის მეტის მექონეს ნუ მიაღებთო. როდესაც «ივერია» კრებას ამისთანა ცნობებს, კანცელარიის «სტოროჯებს» კი არ უნდა გამოკითხოს ამისთანა ამბები, არამედ სანდო პირებს და იმედია აღარ მოტყუებდბა ასე და არც თავის მკითხველებს მოატყუებს.

\* \*

სმები ისმის, რომ თბილისში ანარბენ მეორე უკვე დღიურ ქართული გაზეთის გამოცემას.

\* \*

გაღწევატოლა, რომ «ივერია» წინ გაკრდზე თბილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის განცხადებს უნდა დაბეჭდოს სუთუჯურ. ძღვიურ სინტერესთა ვიცოდეთ ამ განცხადებას შუასოდ ბეჭდავს «ივერია» თუ ფასით?

\* \*

თორმეტი წლის მამასუფრებისათვის ბელაღანის თანამდებობაზედ იმერეთის ეპარქიის ბელაღანელი ერმალოზ გეფსემა დაჯილდოებულ არას მესამე სარსხის ანას ორდენით. ამავე ხარასსას ანას ორდენით დაჯილდოებული არას სამსახურისათვის მღვდელი შაქსამე გოგრიჭანი 436 მუსლით.

\* \*

ყოფილად სამდვდელო გაბრიელი, რომელიც გელათში ბრძანდებოდა ივლისის 14 რიცხვიდან აგვისტოს 14 ქუთაისში ჩაბობრძანდა. ყოფილად სამდვდელომ, რადგან კიდევ სუსტად გრძობას თავს ხელანდა იბნოვა ექვსი თვით თავის უფლებებ ეპარქიის მართვისაგან.

ყოფილად სამდვდელო ბესარიონი დროებითი მმართველი იმერეთის ეპარქიის, მწიწკედი ბრძანდებოდა სოფელს გვალითში გვალითის დანიეთის იკლესიისზედ 13 აგვისტოს, სადაც მიწვეული იყო მიცვალებულის საწირავად აზნაურ ქვენტათაგან. 14-ს ქუთაისში ჩაბობრძანდა და 15-ს ქუთაისის გათფერის ტაძარში სწირა.

### რედაქციის პასუხი.

მდ. ნესტორცხაკაიას. თუ მსურველებს სამრეკლო სკოლაში შესვლისა და გახსნისა, შაშინ სამინისტრო სკოლა 60-ზე კი არა 10 საჯუნზედ რომ იყოს, მანტ ვერას დაბრკოლებს სამრეკლო სკოლის გახსნას.

მდ. ზღ. — შვილს. თქვენი საუკუო კითხვა განმარტებულა «მწიქმისა»-ს წინანდელ №-ში; ხელ მეორეთ განმარტება საჭირო არ არს.



ზ. ბ. ჟო — ის. ესლანდელ დროში სიტუაჲ «ლიტი და სტოკჲ»-ს მნიშვნელობა თითქმის უკვალა მეღავთნებ იტის, არა თუ მღვდელმა. არ ბეჭჲარა რომ სადმე იჟოს მღვდელი, ეს სიტყვები რომ არ ესმოდას.

ერთად წარვა მღვდელს გრდნა-ტკალესულისა და ცოტსლებასათვის, არა თუ რამდენიმესა, ასი ბიასისაც შეუძლია. შემცდარი აზრი აქვსთ ზოგაერთებს, რადესაც ჭფიერობენ, რომ წარვა ერთ მიწზედ უნდა შესრულდეს და არა მრავალზეო.

გ ა ნ ც ხ ა დ მ ბ ა ნ ი.

საქველმოქმედო

თავარის ნახატიანი

ფოსტიის ქალაქი

ისეიდება თბილისის და ქუთაისის ქართულ წიგნის მაღაზიებში

თითო ფურცალი თითო კაკიკად.

მოგებული თანხიდან ნახევარი შეეწირება ზმპირ-სიტყვაობის ფონდს და ნახევარიც მოხმარდება იაფფისიან და მუქთად დასარიებელ სახალსო წიგნბა-კმბის გამოცემას.

ვისაც სურს გამოწერა შეუძლიათ დაიბარონ ფოსტიით დ. უკირიფიდან მიხეილ ბარამაძისაგან.

ემწეემსია-ს რედუქციისაგან დაიბეჭდა ცაფეე წიგნაკად და მადე იენება გასასუფილად ცსოფრება ღირსისა ტ ღმერთ-შემოსილისა მამისა ჩამენისა

გიორგი მთაწმინდელისა,

საღმრთო წერლის ქართულს ენაზე ზოარგმენისა, ათონის ივერიის საყანის კტიტორისა და სრულიად რეპრიის განმანათლებლისა.

ს ა ზ უ რ ა დ ე მ ბ ო დ!

სოფელის სკოლებში მოსწავლეთა სიღარიბისა და შევიწროებულ მდგომარეობისა გამო—მე დავამზადე სასწავლო წლისათვის აუარებედი იაფფისიანი რვეულება:

ასი ცალი 2—3 მანეთამდე. რვეულები შეეერილია სინის ძაფით, ვარშემო მტეიცე ქადადდი აქვს შემოხვეული და თან თითოეულ რვეულს აქვს საშრობი ქადადდი.

აქვე შეგიძლიათ მოიპოვოთ უფრო იაფფისად უოვეფეგვარი საყანცეფლარიო და სასწავლო ნივთები...

მიმართავეთ ი. მურადიას მაღაზიას—ქუთაისში.

შ ი ნ ბ ა რ ს ი. კიდევ ფუჭი და ამაო ზრუნვა მგერული მწერლობის განჩინსა და ღოცვისა და ღვთის-მსახურების ქართულიდან მგერულად გადათარგმნის შესახებ.—ენისა და სფელის დამაზინებება.—ანაღ-გაზდა მღვდლის ფიქრები.—საქართველოს ძველი ღროის თავგადასავალი.—ჰედაგოგიური შენიშვნები საერო დასამრეფლო სკოლების მასწავლებელთა საყურადღებოდ.—საისტორიო მასალა.—ანაღი ამბები და შენიშვნები.

რედუქციის ზასუბა. განცხადებანა.